საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა [illegible] პარტიის [illegible] ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 230

სამშაბათი, ივნისის 27-ს 1922 წ.

## ჰააგის კონფერენციისათვის

ჟენუ-ს კონფერენციამ გამოააშკარავა ერთი დიდი ფაქტი, რომლის არ დანახვა მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ. ეს არის ის გარემოება, რომ გენუას კონფერენციაზე მიწვევით ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა ფაქტიურად იცნეს საბჭოთა მთავრობა. თვით ფაქტი, რომ გენუას კონფერენციას დაესწრო მოსკოვის საბჭოთა წარმომადგენლნი და ისინიც თანაბრად კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ საერთაშორისო კითხვების გადაწყვეტაში, ნათლად ადასტურებს ამ მთავრობის ფაქტიურად ცნობას. ეს გარემოება კონფერენციის პირველ დღეებშივე აღნიშნა საფრანგეთის იმპერიალისტების ორგანომ „ტანმა“ და მიუთითა მოკავშირეებს იმ შედეგებზედ, რომელსაც შეუძლია მიადწიოს გენუას კონფერენციაზე მხოლოდ მიწვევითაც კი საბჭოთა რუსეთის. მართლაც გენუას კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის დასწრებამ ნათელყო, რომ მოკავშირეთა პოლიტიკა რუსეთისადმი საკმაოდ შეიცვალა და ისინიც ახალი გზით შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან მოწესრიგების საქმეს. ვის არ ახსოვს ის გარემოება, რომ ამ რამდენიმე წლის წინეთ, როდესაც დაქანცული და ირგვლივ კონტრ-რევოლიუციონური ბანდებით რკალ შემორტყმული რუსეთი მიმართავდა გამარჯვებულ ანტანტას ზავის ჩამოსაგდებათ, უკანასკნელმა უარით უპასუხა და აღნიშნა, რომ კულტურიოსან ევროპას არ სურს მოსკოვის ყაჩაღებთან ერთად ერთი მაგიდის ირგვლივ დაჯდომა და საერთაშორისო კითხვების გადაწყვეტა. დღეს გარემოება იმდენად შეიცვალა, რომ კულტურული ევროპა კრემლის ყაჩაღებთან ერთად თვენახევრის განმავლობაში ისხდენ გენუაში. საბჭოთა რუსეთის დაუკითხავად და მისი თანხმობის გარეშე ვერც ერთი კითხვა ვერ იქნა გადაწყვეტილი. რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება, ეჭვი იბადება ევროპის „კულტურიოსნები“ ხომ არ გადაიქცნენ მოსკოვის ყაჩაღებად და ხომ არ შეითვისეს კრემლის მეთოდები? რასაკვირველია, პუანკარეს და ლოიდ-ჯორჯს ასეთ ცოდვებს ვერავინ ვერ დასწამებს. ამის მიზეზები ჩვენ სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. პირველი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ფედერაციის ძალა მნიშვნელობა განმტკიცდა, მან გაანადგურა შინაური კონტრ-რევოლიუცია, განამტკიცა თავისი პოლიტიკური არსებობა და მუშურ-გლეხური რესპუბლიკის აპარატი შეურყეველ საფუძვლებზედ ააგო. ეკონომიურად მართალია კრიზისი ვერ არის ძლეული, და ეს შეუძლებელიც არის ამ ცოტა ხნის განმავლობაში, სამაგიეროთ სამეურნეო ცხოვრების სრულს განადგურებისაკენ სვლა შეჩერებულია და მრავალ დარგში გადადგმული არის აღორძინებისაკენ შესაფერისი ნაბიჯები. ამ გარემოებამ საბჭოთა რუსეთს მოუპოვა საერთაშორისო პოლიტიკაში დიდი წონა და ფასი. კაპიტალისტურ სახელმწიფოებს დაეკარგათ ყოველგვარი იმედი საბჭოთა ფედერაციის შეიარაღებული ძალით დაცემის შესახებ. ვერც რუსულმა რეაქციამ, ვერც მონ. პარტ. სახელმწიფოების ამოძრავებამ ვერ უშველა მოკავშირეებს და დიდს მსოფლიო ცენტრში საბჭოთა ცენტრში საბჭოთა ფედერაცია სდგას, როგორც ერთი დიდი რეალური ძალა.

მეორეს მხრით თვით კაპიტალისტურს ქვეყნებში უდიდესმა ეკონომიურმა კრიზისმა იჩინა თავი და იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ვერსალის ავაზაკური მეთოდებით ვერ დააღწიეს თავი სამეურნეო ცხოვრების კატასტროფიულს მდგომარეობას. იზოლიაციისა და რუსეთისაგან განკერძოებული. მაქმედებით ევროპის არსებობა შეუძლებელი შეიქმნა მდიდარი რუსეთი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ევროპის სამეურნეო ცხოვრების ვითარებაში. იზოლიაციის პოლიტიკამ ევროპა სავსებით დაუმორჩილა ეკონომიურად ამერიკასა და შეუძლებელი შეიქმნა დარღვეულ ეკონომიური ცხოვრების გამომრთელება. თვით მოკავშირეთა მასის გარდუვალმა წინააღმდეგობამ წამოყო თავი და ინგლისი და საფრანგეთი ერთი მეორეს დაუპირისპირდნენ საერთაშორისო კარდინალურს კითხვებში.

ასეთი მდგომარეობა შეიქმნა მსოფლიოში: ორი მოწინააღმდეგე ძალა კაპიტალისტური ევროპა და საბჭოთა რუსეთი იმ წერტილს მიადგნენ, საიდანაც მათ გამოსავალი არ აქვსთ, გარდა შეთანხმებისა და მორიგებისა. ამიტომ ევროპა მოლაპარაკების გზას დაადგა. გენუის კონფერენციაც გამომხატველი იყო იმ განწყობილებისა, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში ამ ორ ძალთა შორის.

ამ კონფერენციამ საბჭოთა ფედერაციის წონა და ფასი საკმაო სიმაღლეზედ ასწია და მას დიდი გამარჯვების შანსები მოუპოვა. ფაქტიურად საბჭოთა რესპუბლიკები უკვე შევიდნენ საერთაშორისო პოლიტიკის ორბიტში და ისინი იქ გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ეს ნათელყო გენუის კონფერენციამ.

მაგრამ ამ კონფერენციამ სხვა რამეებიც გამოააშკარავა. მან დაანახვა ყველას, რომ თვით მოკავშირეთა შორის დიდ წინააღმდეგობა არსებობდა და ინგლის-საფრანგეთს ვერ მოენახათ ერთი საერთო გზა რუსეთის საკითხის გადაწყვეტაში. საფრანგეთის იმპერიალისტები ბრძოლის გოდებაზედ არიან და მათ სურთ რუსეთის კოლონიათ გადაქცევა. საფრანგეთმა დიდძალი ფული ჩაყარა რუსეთში, როგორც სესხის სახით, ისე წარმოებაში. საფრანგეთის მთავრობა დღეს თავისი მრეწველობისა და ფინანსისტების ინტერესებიდან გამომდინარეობს. მას სურს დაიბრუნოს ჩამორთმეული მილიარდები და აღადგინოს რუსეთში კერძო წარმოება. საფრანგეთის თვალსაზრისი არ გამომდინარეობს რუსეთის ეკონომიურად აღორძინების საზომიდან. მას სურს ძველის დაბრუნება და სრულებით არ ფიქრობს საბჭოთა რუსეთი ჩააბას ევროპის თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების აღორძინების საქმეში.

სხვა საზომით უდგება რუსეთის საკითხს ინგლისი. ინგლისისათვის დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ევროპის ეკონომიური აღდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის დიდი კრახი და ამერიკის ბატონობისაგან განადგურება; ევროპის აღდგენა კი შეუძლებელი არის რუსეთის უხვი სიმდიდრის გამოუყენებლობის გარეშე. ამიტომ ინგლისის პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ განამტკიცოს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობა და უახლოეს ეკონომიურს დამოკიდებულებაში მივიდეს მასთან.

გენუამ გამოააშკარავა ეს წინააღმდეგობა ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკისა. მაგრამ მას კონკრეტული სახე არ მისცემია და ფორმალურად ანტანტამ განაგრძო არსებობა. ჰააგა არის ის წერტილი, რომელმაც უნდა თავისი გადამჭრელი სიტყვა სთქვას რუსეთის საკითხის შესახებ გარკვეული მიმართულება მისცეს საბჭოთა ფედერაციასთან დამოკიდებულების საქმეს. გერმანულმა პრესამ უკვე აღნიშნა, რომ ჰააგა გამოხატავს საფრანგეთისა და ინგლისის შეჯიბრებას; შემდეგი განვითარება რუსეთთან დამოკიდებულების საქმეში აუცილებლად წავა სეპარატიული შეთანხმების გზით და შეუძლებელი შეიქნება კოლექტიური ხასიათის ხელშეკრულების დადება.

რა გზას დაადგება ამ შემთხვევაში ინგლისი? ამ რამდენიმე ხნის წინად ინგლის საფრანგეთის შორის მოხდა მემორანდუმებით აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ინგლისის მემორანდუმმა გარკვევით აღნიშნა, რომ ის ალიარებს საბჭოთა რუსეთის სუვერენულ უფლებებს და უარყოფს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის პოლიტიკას.

ამგვარად დღეს ინგლისის პოლიტიკა საკმაო შეიცვალა საბჭოთა რუსეთის მიმართ და ეს გარემოება სრულიად ახალ პერიოდს დაიწყებს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კაპიტალისტურ კაცობრიობის ჰორიზონტზე ახალი პოლიტიკური კვანძები ინასკვება. დღეს ფაქტიურად დარღვეული არის ძველი ანტანტა; მის ნანგრევებზე ახალი საერთაშორისო კომბინაცია უნდა აღმოცენდეს, სულ ერთია ექნება მას უმეტესად ეკონომიური, თუ პოლიტიკური ხასიათი.

## კომპარტიის კონფერენცია

ამ ჟამად საქ. მუშათა და გლეხთა საბჭოს რესპუბლიკის დედა ქალაქში ტფილისში შეკრებილია და მუშაობს კომპარტიის პირველი კონფერენცია. ჩვენის აზრით საქართველოს კომპარტიის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის მას მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს. მაგრამ ამ კონფერენციას შეუძლია აგრეთვე თვალსაჩინო დაღი დაასვას ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ეკონომიურ მიმართულებასაც.

ყოველი პარტიის ცენტრალური ორგანოები სასიცოცხლო ენერგიისა და მუშაობის გეზს უმთავრესად ღებულობენ კონფერენცია-კონგრესებიდან; და ეს აიხსნება მარტივი გარემოებით.

ცენტრალური ორგანოები შედარებით დაცილებულნი არიან პერიფერიისაგან, მასსისაგან. ამ ნაკლს ვერ ასცილდებოდა სავსებით თვით მუშურ-გლეხური კომპარტიაც. კონფერენცია კი არის წარმომადგენლობა ადგილებიდან, პარტიული მასსებიდან, უშუალოდ გადმომცემი როგორც პარტიული ორგანოების, ისე მშრომელი ხალხის ფიქრისა და განცდების.

პერიფერია უფრო ასეთს კონფერენციებისათვის „ნედლ მასალას იძლევა“ ვიდრე დასკვნებსა და მოვლენების შესაფერისს თეორეტიულ ახსნას. ცენტრის ვალია ამ ცოცხალ მასალას ბრძნული დასკვნა და წინდახედული გაშუქება წარუმძღვაროს, რომ ამით უფრო ახლოს მივიდეს ხალხთან პარტიაც, ძალა უფლებაც და მით მშრომელმა მასსამაც ეს სიახლოვე უფრო იგრძნოს მისი სულიერი ზრახვების ანგარიშის გაწევით.

წინდაწინ შემზადებული გაყინული სილოგიზმებით არ უნდა მივიდეს კონფერენციაზე მისი წევრი, თუ უკანასკნელს სადად აქვს წარმოდგენილი სიდიდე და სირთულე მომენტისა, რომელშიაც უხდება მუშაობა დღეს პოლიტიკურს მოღვაწეს. მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს ალღო აუღოს მასსის სულიერ ვითარებას, მის გულის ზრახვას და მას შეუფარდოს თავისი ტაქტიკაც, პრაქტიკული ჩამოსხმა იმ პოლიტიკური გეზისა, რომლის განსახორციელებლად მოწოდებულია კომუნისტური პარტიაც.

არა არის მნიშვნელობასა და ინტერესს მოკლებული კომუნისტური პარტიის კონფერენციის ასეთი თუ ისეთი მუშაობა, განსაკუთრებით ჩვენთვის, რომელნიც პოლიტიკურ კონტაქტში ვიმყოფებით აღნიშნულს პარტიასთან.

რამდენად საბჭოთა ძალა-უფლება ემყარება კომუნისტურ პარტიის ძლიერებას, იმდენად ჩვენთვის უშუალო ინტერესს წარმოადგენს, რომ მისი პოლიტიკური მუშაობა არ იყოს დაცილებული სინამდვილეს. ჩვენში კომუნისტური პარტიის პოლიტიკური მარცხი საბჭოთა ძალა-უფლების მარცხია არსებითად დღევანდელ ძალთა განწყობილების დროს. და ამას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს პარტიამ, რომელიც საბჭოთა ნიადაგზე სდგას და მას იცავს თავისი შეგნებითა და დადებითი მუშაობით.

და აი სწორედ კომუნისტურ პარტიის კონფერენციას მოუხდება მოისმინოს პროვინციიდან ჩამოსულ ამხანაგების შთაბეჭდილებანი და მშრომელი გლეხობისა და მუშების ნადვილი ნაზრევი, რომელიც განსაკუთრებით ხაზს გაუსვამს ეროვნულს მომენტს და დამოუკიდებელს პასუხს მოითხოვს.

მენშევიზმისა და ნაციონალ დემოკრატების ყალბმა პატრიოტულმა პათოსმა არ უნდა დაჩრდილოს ბუნებრივი ტკივილი ქართველი მშრომელი გლეხობისა და მუშათა კლასის იმ უარყოფით ფაქტების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს ეროვნული თავმოყვარეობისა და არსებობის საკითხთა გადაჭრის დროს.

ცხადია თუ ქართველი მუშა და გლეხი არ იქნება დაჩრდილული თავის საკუთარს რესპუბლიკაში, არ შეიძლება დაუკანონებული იყოს მისი ენა, მისი მუშაობის და შემოქმედების მთავარი იარაღი: ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო იმავე დროს ნაციონალურიც უნდა იქნეს, რომ ქართველმა მუშამ და გლეხმა თავის გულში ამ სახელმწიფოს გულწრფელი სიყვარულის ძეგლი დაუდგას.

ყოველივე ეს კი დამოკიდებულია მმართველი პარტიის პოლიტიკურს ტაქტსა და ალღოს აღებაზე, ყველა ამ საჭირბოროტო საკითხებზე მოუხდება ალბად შეჩერება კონფერენციასაც.

ეროვნული საკითხის გადაჭრა დამაკმაყოფილებლად მშრომელი მასსისა, მისი პრაქტიკული პოლიტიკის სათანადო გამომუშავება არის ის დიდი საკითხი, რომლის გადაწყვეტით, საზოგადოთ, გაერთიანებული და შეკავშირებული ფრონტით საბჭოთა ძალაუფლების ქვეშ იქნის საქართველოს მშრომელი ხალხი, საქართველოს პროლეტარიატი.

მენშევიკ მემარჯვენე ფედ-ებმა და ნაციონალ-დემოკრატებმა საკმაოდ უჩვენეს თავისი მახინჯი სახე ჩვენს მუშათა კლასს, რომ უკანასკნელის ნაწილებიც კი, საბოლოოდ გამოეთხოვოს მათ.

საჭიროა იმ უკანასკნელი კოზირის გამოცლაც მემარჯვენე პარტიების ხელიდან, რომლითაც ასე მოხერხებულად თავისი პარტიული ინტერესებისათვის სარგებლობენ სოციალიზმის დეზერტირები.

კომპარტიის კონფერენციამ ამ მხრით სათანადო ნაბიჯი, პრაქტიკული ნაბიჯი უნდა გადადგას და მით გაამართლოს საქართველოს მუშათა კლასის ყოვლმხრივი იმედები და გააბათილოს პროლეტარიატის მტრების შემპარავი თავდასხმა.

კომპარტიის კონფერენციას მრავალი საკითხები აქვს გადასაჭრელი, რომლისგანაც დამოკიდებულია მეტი რამ ჩვენი ეკონომიურ პოლიტიკური შემოქმედების გზაზე; მაგრამ ამის შესახებ ვიბაასოთ შემდეგ, როცა კონფერენციის დასასრულს მოგვიხდება შეჯამება მისი მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეების:

ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას კომპარტიის პირველ კონფერენციას და სასურველია იგი პირველი იქნებოდეს თავის შინაარსით ქართველი მშრომელი ხალხის მტკივნეულ საკითხების მოწესრიგების დროს, რომ კონფერენციას თავის მუშაობაში მეტი დამოუკიდებლობა გამოეჩინოს, ვიდრე დღემდის ეჩნეოდა პარტიის მუშაობას.

ფიცხი.

## ნარკვევი

გაზეთ „ეხო დე პარი“-ში მოთავსებულია გავლენიან ფრანგ დეპუტატის ერნესტ უტრის წერილი სათაურით: „ნავთის პრობლემა—გენუას კონფერენცია და კავკასიის სახელმწიფონი“. წერილი მოგვყავს „თავ. საქ“.-დან:

„საფრანგეთის პარლამენტში დებატების, დროს მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კავკასიის სახელმწიფონი არ იქნებიან მოწვეულნი გენუის კონფერენციაზედ, რადგან ეს სახელმწიფონი ევროპაში არ არიან მოქცეულნი. მთავრობის თავმჯდომარემ აგრეთვე განაცხადა, რომ საბჭოების, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, კავკასიის სახელმწიფოთა ყალბ წარმომადგენლების პრეტენზია გენუაში დაშვებისთვის, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

საფრანგეთის მიერ საკითხი ნათლად არის გარკვეული; საჭიროა, რომ ჩვენი პოზიცია ამ საკითხში მტკიცე და ურყევი იყვეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ განვიცდით ეკონომიური ბრძოლის მეტად მძიმე პერიოდს. და ამა თუ იმ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ერის ნავთის პოლიტიკაზე. ჩვენ გვახსოვს თუ რა დიდი როლი ითამაშა „ნავთის ფაქტორმა“ გავლილი ომის უკანასკნელ თვეებში და არა ნაკლებ როლს თამაშობს იგი მშვიდობიან დროსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე ეპოქის განვითარებულ მაშინიზმსა და ინდუსტრიას.

ეს გარემოება, როგორც სჩანს, სავსებით დააფასა საბჭოთა მთავრობამ,, რომ უმნიშვნელო მიზეზის გამო თავს დაესხა დამოუკიდებელ და თვით საბჭოთა მთავრობის მიერ ცნობილ კავკასიის რესპუბლიკათ და 1921 წლის იანვარ-თებერვალში თავისი მრავალ-რიცხოვანი ჯარების საშვალებით დაიპყრო.

ხიშტებზე დაყრდნობილი ძალის მეოხებით კავკასია და საქართველო გახადეს რა საბჭოთა ფედერაციის წევრებათ, დაუყოვნებლივ გაავრცელეს მაზედ კომუნისტური რუსეთის ყველა კანონები და დეკრეტები და ნავთის უძვირფასეს მადნეულობას რუსეთის მთავრობამ ნაციონალიზაცია უყო. ამბობენ, რომ ლორდ კერზონმა მიიღო კანში პირობა, რომლის მიხედვით, გენუის კონფერენციაზე არ იქნება აღძრული კამათი იქ წარმოდგენილ ქვეყნების შინაური საქმეების შესახებ—ეს იმას ნიშნავს, რომ იქ არ შეეხებიან რუსეთის და კავკასიის საკითხს და იმ პირობებს, რომლებშიაც ანხორციელებს დამპყრობელი რუსეთი თავის კომუნისტურ კანონმდებლობას; თუ არ იქნება აღძრული საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად კანონიერია საბჭოების მიერ კავკასიის დაპყრობა, ეს იქნება გაგებული როგორც შერიგება და დადასტურება ნავთის მადნეულობის ნაციონალიზაციის კანონიერებისა წითელი ჯარების მიერ..

მაგრამ ჩვენ ვიცით, საბჭოებმა პირობა დასდვეს ინგლისის ნავთის მრეწველთა ერთ ჯგუფთან, რომლის მიხედვით საბჭოთა-ვაჭრბატონები ბრიტანეთის ნავთის გამყიდველთა სინდიკატს აძლევენ უპირატესობას ნავთის წარმოების საქმეში. ჩვენ ვიღებთ თავზე სითამამეს განვაცხადოთ, რომ წითელი რუსეთი იქცევა კავკასიაში როგორც უზურპატორი, ხოლო ამ სახელმწიფოთ უნდა ანგარიში გაუწიოთ როგორც დამოუკიდებელ ქვეყნებს და მათი უფლების საერთაშორისო ცნობით უზრუნველვყოთ ის პირობები, კერძო პირთა, ისე დიდი კომპანიების, რომელნიც წინად მიღებული ქონდათ ამ ქვეყნებში ფრანგებს, ბელგიელებს და თვით ინგლისელებს. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ეს განცხადება შეაჩერებს ამ მყვლეფელი სინდიკატების წადილს უსირცხვილო საშუალებით ჩაიგდონ ხელში კავკასიის ნავთი.

ბ-ნმა პუანკარემ განაცხადა, რომ რუსეთს არ მიეცემა უფლება წარმოადგინოს გენუაში კავკასიის ფსევდო დელეგატები. ძალიან კარგი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი—კავკასიის საკითხი უნდა დაისვას გენუის კონფერენციაზე—თუ ეს არ იქნა, უდიდესი და უძვირფასესი წარმოებანი ბაქოს და გროზნის რაიონისა, რომელნიც ჩამორთმეული აქვთ მათ კანონიერ მესაკუთრეთ და საბჭოების ხელში იმყოფებიან, ისევ მათ დარჩებათ და ბოლშევიკებს მიეცემათ უძლიერესი ფაქტორი მათი რეჟიმის გამაგრებისათვის“.

როგორც მკითხველსაც მოეხსენება ნავთის საკითხს დღეს დიდი და გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პოლიტიკაში. საქართველოს და მთელს ამიერ-კავკასიას ნავთის საკითხთან უახლოესი კავშირი აქვს· ამიტომ დიდ სახელმწიფოთა ინტერესი ჩვენი საკითხისადმი გაცხოველდა და ყოველი მათგანი თავიანთ ინტერესების მიხედვით ცდილობს შესაფერისი პოლიტიკა შეიმუშავონ. ამ მხრივ საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკა ამ სა-

კითხშიაც დაუპირისპირდა ერთი მეორეს. ინგლისი ცდილობს საბჭოთა ფედერაციასთან მორიგების გზით ჩაიგდოს ხელში ნავთის კონცესიები, რაც ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს. საფრანგეთსა და ბელგიას დიდი ნაწილი კავკასიის ნავთისა ეკუთვნოდათ წინათ. დღეს ეს მთავრობანი იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ნაციონალიზაცია ქმნილი ქონებანი უკანვე დააბრუნონ და ამით გახდნენ რეალურად ბატონ-პატრონნი დიდი დოვლათისა. საბჭოთა ფედერაციამ კატეგორიულად უარი განაცხადა ასეთს მოთხოვნილებებზე და აღუთქვა მხოლოდ ანაზღაურება, ერთგვარი კომპენსაცია. მაგრამ საფრანგეთის იმპერიალისტები არ სცხრებიან და მათი პოლიტიკა დღეს განაპირა რესპუბლიკებისა, და მათ შორის ამიერ კავკასიისაც, საბჭოთა რუსეთის გავლენისაგან, განთავისუფლებისაკენ არის მიმართული. მათ სურთ ამით დასცენ ამიერ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება და აღადგინონ ჩვენში მმართველობა მუსავატ-მენშევიკ-დაშნაკელებისა, რომ შემდეგ პოლიტიკურად და ეკონომიურადაც დაეპატრონა მთელს ამიერ-კავკასიას. ჩვენ კარგად გვახსოვს საფრანგეთის პოლიტიკა სულ ახლო წარსულში ჩვენდამი. მაშინ საფრანგეთი დიდი „განუყრელი რუსეთის" ლოზუნგით გამოდიოდა და ყველაზე მეტად ებრძოდა ჩვენს დამოუკიდებლობას, რადგან იმედი ჰქონდა დენიკინ-კოლჩაკის ბანდები აღადგენდნენ მთლიან რუსეთს. მაგრამ ისტორიულმა ვითარებამ და დიადი წითელი ლაშქრის უდრეკმა ნებისყოფამ საფრანგეთის იმედები დაამსხვრია და რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლება მთელი თავისი სიძლიერით განმტკიცდა. დღეს საბჭოთა რუსეთი საერთაშორისო რეალურს ძალას წარმოადგენს და მისი შინაური კონტრ-რევოლუციის დამარცხება შეუძლებელი ხდება. ამიტომ საფრანგეთმაც პოლიტიკა შეიცვალა და დიპლომატიური ვარჯიშობით ცდილობს ფონს გასვლას. დღეს რეაქციონური საფრანგეთი მენშევიკურ საქართველოს აღდგენის მხურვალე დამცველი არის. ეს მისი პოლიტიკა ლოღიკურად გამომდინარეობს იმ საერთო პოლიტიკიდან, რომელსაც დაადგა საფრანგეთი რუსეთის მიმართ. რასაკვირველია ამ შემთხვევაში მას აინტერესებს არა საქართველოს ეროვნული ინტერესები და განდევნილ მენშევიკების შელახული უფლებები, არამედ თავისი იმპერიალისტური გეგმები და უწინარეს ყოვლისა ნავთის საკითხი. ზემოდ მოყვანილი წერილი ნათლად გამოხატავს საფრანგეთის ამ პოლიტიკას და იმ გეზს, რომელსაც ადგებიან რეაქციის მოციქულები ამიერ კავკასიის საკითხში.

## ტფილისის არჩევნები.

24 ივნისს ა. წ. (ნაშუადღევის 4 საათზე) ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება მუშა-მოსამსახურეთა საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის. ვრცელი მოხსენება გააკეთეს ამხ. კომუნისტებმა თ. კალანდაძემ ქართულ ენაზე, და კომ. ასირბეგოვმა რუსულ ენაზე. მემარცხენე სოც.-ფედერალისტა ფრაქციის მხრივ ილაპარაკა პ. ჩიქოვანმა ქართულ ენაზე. მან აღნიშნა, როგორც დადებითი მხარე 1-ლ საბჭოს მოქმედებისა, აგრეთვე დეფექტებიც. უმთავრესად ყოვლისა მან აღნიშნა მემარცხენე სოციალ.-ფედერალისტთა მიმართულება, რომელიც ემსახურება თანასწორად როგორც ერის უფლების საკითხს, აგრეთვე სოციალიზმსაც; ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ არჩეული დეპუტატები პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ დიად საქმეებს და მტკიცედ დაიცავენ ქ. ტფილისის მშრომელი ხალხის ინტერესებს.

კრებაზე საბჭოში არჩეულ იქნა 5 დეპუტატი და 2 კანდიდატი. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციიდან არჩეულ იქნა დეპუტატად ამხ. ვ. დაქკორია.

—

შაბათს, ივნისის 25, საოპერო თეატრში შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირისა. ვრცელი მოხსენებით ქართულ და რუსულ ენებზე გამოვიდა ამხ. ბუდუ მდივანი, რომელმაც დაასურათა საბჭოთა სისტემის გამარჯვება გარეშე და შინაგან ფრონტებზე. შემდეგ არჩეულ იქნა ტფილისის საბჭოს დელეგატები. მათ შორის ამხ. პ. ქ[illegible]ნიშვილი, მემარცხ. სოც.-ფედერალისტი. კომფრაქციის მიერ წამოყენებულ „ნაკაზს" კრებამ დაუმატა, რომ აუცილებელია განათლების მუშაკთა კავშირი გამოცხადდეს მშრომელ კავშირად და განათლების საქმე დამკვრელ სამუშაოთ იქნას ცნობილი მთელ რესპუბლიკაში.

## ესერების პროცესი.

**მოსკოვი.** ივნისის 25. 23 ივნისის დილის სხდომაზე უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე პიატაკოვმა განიხილა რა დამცველი მურავიოვის მოსაზრებანი განაცხადა: „რაც შეეხება სასამართლოს მიდგომილობას, მე პროცესის პირველ დღესავე ტრიბუნალის სახელით განვაცხადე, რომ ჩვენ არ ვფიქრობ, რომ სასამართლოს შეუძლია იყოს ზეკლასიური კლასთა ბრძოლის გარეშე და გამოიტანოს ზექვეყნიური მიუდგომლობის განაჩენი, ყოველი სასამართლო და სხვათა შორის პროლეტარულიც, არის მიდგომილი სასამართლო, კლასიური, რომელიც იცავს ამა თუ იმ კლასის კეთილდღეობას და ამ შემთხვევაში მუშათა კლასისაც. ამიტომ განაჩენის პოლიტიკურად სახელის გატეხას რომ დავამყაროთ მურავიოვის განცხადებაზე, შეუძლებელი იქნება. მუშების ტრიბუნაზე გამოსვლის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ დემონსტრაციისა და დელეგაციის მოსვლის შემდეგ, დამცველებს არ შეუძლიათ დაასაბუთონ რომ ჩვენ წინაშე არის არა პროლეტარული სასამართლო, არამედ სასამართლო პოლიტიკური პარტიისა. ტრიბუნალს მშვენივრად ესმის თუ რაგორი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს დამსწრეთათვის მოწმეთა ამბებს, რომელნიც სცდილობენ სახელი გაუტეხონ განაჩენს. უმაღლესმა ტრიბუნალმა მომავალში თვალყური უნდა ადევნოს ყველა იმ არგუმენტებს და ფაქტების დამტკიცებას, რომელსაც წამოაყენებენ მხარეები მის წინაშე.

რევტრიბუნალი სტოვებს განუხილველად დამცველთა განცხადებას და წინადადებას იძლევა ტრიბუნალის მოქმედებით გამოწვეულ უკმაყოფილების დროს, მიმართონ საჩივრებით სათანადო ორგანოს.

თავმჯდომარის განცხადების შემდეგ სასამართლო განაგრძობს ჩვეულებრივ მუშაობას და ართმევს ჩვენებას მოწმეებს ელიაშევიჩს და დავიდოვს.

23 ივნისის საღამოს სხდომაზე ბრალდებული ტიმოფეევი აჩვენებს ესერების ცეკას სამხედრო მუშაობის შესახებ მოსკოვში 1918 წლის აპრილის და მაისის განმავლობაში. ვოლგის გუბერნიებში დაიწყო გლეხთა აჯანყება სასურსათო გადასახადის ამკრეფ რაზმებთან ბრძოლის ნიადაგზე. ესერები შეძლებისდაგვარად ცდილობდენ თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ ეს მოძრაობა. ტიმოფეევი ლაპარაკობს ცეკას დამოკიდებულებაზე შავრაზმულ ორგანიზაციებთან და სავინკოვის ორგანიზაციასთან რომელიც ცეკას ქონდა მხედველობაში, თუმცა მას ამჯობინებდა პოლკოვნიკ ტკაჩენკოს ორგანიზაციას.

ერთ-ერთ საკავშირო მისიის საშუალებით, რომელთანაც ცეკას ქონდა დამოკიდებულება, ტიმოფეევმა მოახერხა გაეგო იმისა, რომ სავინკოვმა მიიღო დიდძალი ფული. სამხედრო კომისია შეუდგა იმ მასალების შესწავლას, რომელიც მიიღო პოლკოვნიკ მახინის საშუალებით და რომელიც შეეხებოდა სამხედრო ოლქების ორგანიზაციას. ტიმოფეევი ამბობს, რომ ესერების პარტიის ცეკა სცდილობდა გაეცნობოდა არმიას, ვინაიდან იმედი ქონდა მომავალში ესარგებლნა მითი. ტიმოფეევის შემდეგ იძლევა ჩვენებას კანდელაკი, რომელიც იყო ესერების პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრი. ამის ჩვენებიდან ირკვევა, რომ პეგლოვი აწარმოებდა შეთქმულების აქტიურ მუშაობას. ცეკამ გენდელმანის სახით იცოდა ეს ჩუმად იწონებდა ამ მუშაობას.

**ვანდერველდეს განცხადება.**

მოსკოვი. 25 ივნისი. ესერების და მარცხენ[illegible] დამცველებმა ვანდერველდემ, ლიბკნეხტმა და როზენფელდმა გაუგზავნეს 2 და ვენის ინტერნაციონალს დეპეშა, სადაც აცხადებენ, რომ მათ დასტოვეს რუსეთი, ვითომდა ბერლინის შეთანხმების დარღვევისათვის.

ს.-დემოკრატიულმა პარტიამ გამართა კრება, სადაც ვანდერველდე და როზენფელდი ირწმუნებოდნენ, რომ არ არის არავითარი დამტკიცება იმის შესახებ, რომ ესერებმა განიზრახეს ლენინის, ვოლოდარსკის [illegible] ვანდერველდის სიტყვით, დამცველები [illegible] თხოვნით, რომელთაც განაცხადეს, რომ პროცესზე დამცველების დარჩენა საქმეს მხოლოდ ზიანს მოუტანსო.

**მემარცხენე ესერების პროცესი.**

მოსკოვი, 25 ივნისი. 27 ივნისს უმაღლესმა ტრიბუნალმა დაიწყო განხილვა მემარცხენე ესერების პარტიის წევრთა საქმისა, რომელთაც ბრალი ედებათ კონტრ-რევოლუციონურ პროპაგანდაში იარაღის შენახვაში და იმ ლიტერატურის გავრცელებაში, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ბრალდებულები, ელისეევი-სმირნოვი, ფილატოვ-მურიატოვი, განი-პოგოდნიკი მუტირის ც[illegible] გაქცევის შემდეგ შეპყრობილნი იყვნენ კონსპირატიულ ბინაზე, სადაც მათ ჩამოართვეს იარაღი, პატრონები. მრავალი საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ფურცლები და ლიტერატურა. დატუსაღების დროს გაწეული იყო შეიარაღებული წინააღმდეგობა. იქვე დააჭირეს სმირნოვი და გოლოვინი. გამოირკვა, რომ პოგოდნიკმა და სმირნოვმა მოაწყვეს ანტონოვის ბანდიტური შაიკები.

**ესერების პროცესი.**

23 ივნისის საღამოს სხდომაზე მოწმე სვენცერსკის დაკითხვის შემდეგ, ტრიბუნალი აქვეყნებს დოკუმენტებს, რომლიდანაც ყურადღებას იპყრობს ის შეთანხმება, რომელიც დადებული იყო თავდაცვის კომიტეტის და სამხედრო რევკომის მიერ 1917 წლის ნოემბერში. ამ დოკუმენტიდან ნათლად სჩანს, რომ ბრალდებულთა მტკიცება, ვითომდა თავდაცვის კომიტეტის განკარგულებაში არ ყოფილა არავითარი თეთრი გვარდია, თავიდან ბოლომდე ყალბია, ვინაიდან შეთანხმების 2 მუხლში ნათქვამია თეთრი გვარდია დაშლილი უნდა იქნესო. გადადის რა ფორმალურ საკითხებზე თავმჯდომარე აცხადებს, რომ მან მიიღო პირველი ჯგუფის დამცველთა შუამდგომლობა, რომლის დასკვნაში ნათქვამია, რომ დამცველებს არ შეუძლიათ განაგრძონ მუშაობა და სთხოვენ სასამართლოს გაანთავისუფლონ ისინი საქმეში მონაწილეობისაგან. ამ საგანზე დასკვნისათვის სიტყვა ეძლევა კრილენკოს, რომელიც ამბობს: „წინად დაცვის საქმეში მონაწილეობას უცქეროდენ. როგორც დამცველის კერძო შეთანხმებას ბრალდებულთან ჩვენ პროლეტარული კანონებით დაცვა ითვლება

## პროლეტარიატის დიქტატურა და საქართველოს სინამდვილე

(პასუხად ამხ. კ. კომუნაძეს)

ამხ. კ. კომუნაძის ლოღიკით უმთავრესი სიმძიმე საკითხისა ყოფილა „მსოფლიოს ხელახალი განაწილება იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის" ხოლო უმცირესი კი ეკონომიური ექსპლოატაცია კოლონიალური ქვეყნების. ასე, რომ როდესაც ინგლისმა ამერიკიდან გამოდევნა საფრანგეთი, ამერიკის უბედურება იმაში ყოფილა, რომ იქ საფრანგეთის ნაცვლად ინგლისი შევიდა. მოხდა ხელახალი შეცვლა მეტროპოლიის. გამოდის, რომ თურმე უმთავრესი უბედურება კოლონიების იმაში მდგომარეობს, რომ მეტროპოლიათა შეცვლება ახდენს ახალ გაყოფას. ასეთი დებულების წინააღმდეგ მართლაც აღარ შეიძლება ბრძოლა. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამხ. კ. კომუნაძე ცდილობს რუდ. ჰილფერდინგი დაამოწმოს თავის უცნაურ დებულებაში და ამისათვის ჩემ მიერ მოყვანილი ამონაწერი ჰილფერდინგიდან მოყავს ვითომც ჩემს წინააღმდეგ, რომელიც გვეუბნება, რომ კოლონიურ ქვეყნებში „ნაციონალურ თვითშეგნებისაკენ" აქეზებს მკვიდრთ მეტროპოლიის ბატონობა. ამხ. კ. კომუნაძე გვეუბნება, რომ ჩვენთვის ამას აქვს „მთავარი" მნიშვნელობა და შემდეგ იმოწმებს ჰილფერდინგს.

ეხლა ვიკითხოთ, თუ რას ეტყოდა თვით ჰილფერდინგი ამხ. კ. კომუნაძეს, მას რომ იგი გადაეკითხა და მხოლოდ ჩვენ მიერ მოყვანილი ციტატით არ დაკმაყოფილებულიყო. ჰილფერდინგი მას ეტყოდა, რომ კაპიტალის ექსპორტი, რომელიც შედის ჩამორჩენილ ქვეყნებში ქმნის ექსპლოატაციის მაქსიმალურ დონემდე აყვანას და ეს უკანასკნელი მიზეზი ხდება კოლონიურ ქვეყნების მოძრაობისა და ნაციონალური შეგნების გაღვიძებისა. რუდ. ჰილფერდინგი ეტყოდა მას, რომ „კაპიტალთან ერთად მოხდება იმპორტიზაცია კაპიტალისტური წარმოების და ექსპლოატაციის ურთიერთობის..."*)

*) Руд. Гильфердинг „Финансовый капитал", გვ 473

აი რას ეტყოდა ამხ. კ. კომუნაძეს რუდ. ჰილფერდინგი. როგორც ვხედავთ ჰილფერდინგი პრაგმატიულად, მიზეზობრივი კავშირის მიხედვით არკვევს მოვლენებს და ნაციონალური თვითშეგნება ზედნაშენად მიაჩნია იმ ეკონომიური ურთიერთობის, რომელიც მყარდება კოლონიასა და მეტროპოლიას შორის.

ამხ. კ. კომუნაძე კი მხოლოდ მოვლენის ზედაპირს ხედავს და სრულებით არ დაგიდევთ მიზეზს ამ მოვლენისას. იგი ფილოსოფიური თერმინით. რომ ვთქვათ ისეთსავე წესით აფასებს მოვლენებს, როგორც გულუბრყვილო რეალისტი, რომელიც მოვლენას მიიღებს ისე და იმგვარად, როგორც და რაგვარადაც მას ის ევლინება.

ამასთან ერთად, ამხ. კ. კომუნაძე, როდესაც ნაციონალურ თვითშეგნებასა და ჩამორჩენილ ქვეყნების ხელახლა გადაყოფას აძლევს დიდ მნიშვნელობას და არ აღნიშნავს მიზეზს ამ გადაყოფისა და „უმთავრესად" არ მიაჩნია ექსპლოატაციის მომენტი, ამდენათვე იგი ღალატობს არა მარტო სინამდვილეს, რეალ ფაქტებს, არამედ უკუღმა ატრიალებს მთელ ისტორიოსოფიას მარქსიზმისას, რომელიც ეკონომიკის საფუძველზე აგებს ყოველგვარ მოძრაობის ხასიათს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმებით არც ჰილფერდინგს იმაში, რომ მხოლოდ ექსპლოატაციის მომენტი იყოს ერთად ერთი ფაქტორი ნაციონალურ შეგნების გაღვიძებისა, მაგრამ ჩვენ ვეთანხმებით მას, რომ ეს ფაქტორი დღეს ერთი უდიდესი ფაქტორია კოლონიალ ერების ნაციონალურ მოძრაობისა.

ამხ. კ. კომუნაძე კი მიუხედავად დიდი რიხისა მაინც იმ კაცის მდგომარეობაშია, რომელიც წაქცეულია, მაგრამ მაინც არ იშლის ფილოსოფიურ ტრაბახს.

ჩვენ ვწერდით, რომ აზიის გლეხობა იბრძვის დასავლეთ იმპერიალისტების წინააღმდეგ და იგი რევოლუციონურად არის განწყობილითქო. ამხ. კ. კომუნაძე გვეუბნება: „თუ ის გარემოება, რომ აღმოსავლეთის დაჩაგრული ხალხები იბრძვიან „შინაური ბურჟუაზია და დასავლეთ იმპერიალისტების წინააღმდეგ" მაჩვენებელია მისი, რომ ისინი კომუნისტები არიან, მაშინ ყოველი ოსმალო ან ინდოელი, ან ჩინელი და სხ. კაპიტალისტი კომუნისტი ყოფილა ვინაიდან ისინიც იბრძვიან ბეგებისა და უცხოეთის კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ვინ მოახსენა ამხ. კ. კომუნაძეს, რომ აზიის გლეხები კომუნისტები არიანო? ნუ თუ კომუნისტი ჰქონია მას მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციის ერთად ერთი ყარაული? საკითხი რომ ასე იდგეს, მაშინ თქვენი მტერია ხალი უნდა აგვეღო რევოლუციის შესაძლებლობაზედაც კი, რომ მხოლოდ კომუნისტის მკლავისა და ხმალის გარდა არავინ არ იყოს გამომსადეგი რევოლუციის პროცესში.

გ. ზინოვიევი თავის ერთ ერთ წიგნში გვეუბნება; „რას ვხედავთ ჩვენ რუსეთის მუშათა კლასში? ხუთ სი ათასი წევრი პარტიისა მთლის პროფკავშირთა შვიდ მილიონ წევრზე". *)

გ. ზინოვიევს კარგათ ესმის ისიც რომ მათ უხდებათ „პროლეტარიატის დიქტატურის გატარება ისეთ ქვეყანაში, სადაც უდიდესი უმრავლესობა მცხოვრებთა არის გლეხობა **) (უკანასკნელი ხაზი ავტორისაა. ს.—ელი) ასე, რომ თურმე რევოლუციისადვის საჭირო არ ყოფილა ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა კომუნისტი გახდეს, როგორც ფიქრობს ამხ. კ. კომუნაძე. ამის გარდა მარქს შესაძლოდ მიაჩნია ისეთი კლასის არსებობაც კი, რომელსაც არა აქვს შეგნებული თავისი ინტერესები. მარქსის აზრით შესაძლებელია კლასს არ ესმოდეს თავის ინტერესები, მაგრამ იგი მაინც კლასი იქნება და ასეთ კლასს მარქსი უწოდებს არა კონსტიტუციურ კლასს, ე. ი. მოუმწიფებელ კლასს. ასე, რომ აზიის გლეხობა შეუგნებლად რომ მოქმედობდეს, თუ გინდ არა იმპერიალისტების წინააღმდეგ, არამედ პირიქით მათ სასარგებლოდ. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს გლეხობა ბურჟუაზიულ კლასის ფარგლებში შეიყვანო, რადგან ობიექტიურად მისი ინტერესები არ შეიძლება შეუთანხმდენ ბურჟუაზიის ინტერესებს. ბოლოს იგი მაინც მონახავს თავის ინტერესებს და თავისი გზით ივლის.

*) Г. Зиновьев „О роли профессиональных союзов".

**) ibid გვ. 44—18.

ამასთან ერთად ამხ. კ. კომუნაძე გვეუბნება, რომ უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგ ჩინელი კაპიტალისტიც იბრძვისო. უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად უხერხულია ლაპარაკი ასეთ ელემენტარ პოლიტიკურ ცნებათა გარჩევის შესახებ. ნუ თუ მტკიცება საჭიროა იმ გარემოებას, რომ რომელიმე მოვლენის წინააღმდეგ შეიძლება გამოვიდეს ორი კლასი სხვა და სხვა მიზნებით? რუსეთში ცარიზმის წინააღმდეგ კადეტებიც იბრძოდა და კომუნისტებიც, მაგრამ, რომელ პოლიტიკურ მოაზროვნეს შეეფერის ამ ორ პოლიტიკურ მიმართულებათა იგივეობაზე ლაპარაკი, მხოლოდ იმიტომ რომ ორივე მიმართულება ებრძოდა ცარიზმს? ბოლოსა და ბოლოს მართლაც რომ საჭიროა სიწითლის უნარი.

ჩვენ აღვნიშნავდით კოლონიურ ქვეყნების მოძრაობის დიდ მნიშვნელობას ევროპის კაპიტალიზმის დეგრადაციის პროცესში. ამხ. კ. კომუნაძე კი ხუმრობის ხასიათზე დამდგარა და გვეუბნება: „სიდან სადაო, წმიდა საბაო". იგი განაგრძობს: „ჩვენ ვამბობდით „ეროვნულ-ბურჟუაზიულ რევოლუციებზე" კოლონიალურ ჩამორჩენილ ქვეყნებში, მხოლოდ რა შუაშია აქ დასავლეთი ევროპა—ეს მკითხველმა გამოიცნოს. მართალია ყველაფრის თქმა შეიძლებაო—დაასძენს ბრძნულად ამხ. კ. კომუნაძე—მაგრამ ცოტა უნდა მაინც დავფიქრდეთ რასაც ვამბობთ, თორემ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებითო".

ვნახოთ რამდენათ „დაფიქრდა" ამხ. კ. კომუნაძე იმის შესახებ „რასაც იგი ამბობს" და გავარკვიოთ, თუ როგორ „უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა" იგი.

როდესაც ჩვენ კოლონიური ქვეყნების მოძრაობის შესახებ გვაქვს ლაპარაკი, რა თქმა უნდა ამ მოძრაობას არ ვთვლით „კომუნისტურ მოძრაობად" და არც მიგვაჩნია საჭიროდ, რომ რევოლუციისა თუ რომელიმე მოძრაობის ფართო მასა აუცილებლად კომუნისტური მასა იყოს.

კოლონიური მოძრაობის მთელი მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი უპირდაპირდება კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკას. ამ დაპირდაპირებაში შეიძლება აქტიულად კოლონიური ქვეყნის კაპიტალისტიც, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს მეტროპოლიის კაპიტალის კონკურენციას. მაგრამ მშრომელი მასის გზა უკვე დაშორდება კაპიტალისტთა გზას, როგორც კი უცხოეთის კაპიტალის ზეგავლენა დაძლეულ იქნება. მაშინ იწყება ბრძოლა თვით შინაურ ძალთა შორის და იმ შემთხვევაში უფრო მკაფიოდ და რელიეფიურად დაისახება ამა თუ იმ კლასის ინტერესთა ფიზიონომია. ასე, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებში, რომ ადგილი ქონდეს მხოლოდ ბურჟუაზიულ რევოლუციებს, და იგი არ უპირისპირდებოდეს ევროპის კაპიტალიზმს ერთი მხრით და საერთოდ კაპიტალიზმს მეორე მხრივ, მაშინ კომუნისტების ინტერესები ვერ მონახავდა შეთანხმების წერტილს კოლონიურ ქვეყნების მოძრაობასთან.

ყოველივე ეს გარკვევასა და გათვალისწინებას მოითხოვს. ამხ. კ. კომუნაძემ უნდა იცოდეს, რომ საკმაო არ არის განაცხადოს „სიდან სადაო, წმინდა საბაო".

ჩვენ ამხ. კ. კომუნაძის წინააღმდეგ ვსწერდით (იხ. „ტრიბუნის" № 181), რომ „ჩვენს მსჯელობას ამხ. კ. კომუნაძემ დაობებულ არქივიდან გამოქექილი მსჯელობა" უწოდა თქო—და განვმარტავდით თუ ვისი მსჯელობა გახდა საარქივო. ჩვენ ვამბობდით—„მარქსიზმის ავტომისტური თეორია უკიდურეს ცენტრალიზმს აყენებდა. ამას იცავდენ ბოლშევიკებიც. სტალინი გაფრთებით ებრძოდა ეროვნულ ტერიტორიულ ავტონომიის პრინციპს*). დღეს საერთოდ

*) უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ წერილში „ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის" მაგიერად ეწერება „ტერიტორიალური ავტონომია". ამის გამო ამხ. კ. კომუნაძემ შეგვნიშნა, რომ „ს.-ელი მგონი დაჩვეული უნდა იყოს სიყალბეს" ვფიქრობ მიუდგომელი მკითხველი აქ დაინახავს არა „სიყალბეს", არამედ ან labsus calami ს ან და კორექტურულ შეცდომას (რითაც სამწუხაროდ მდიდარია ჩვენი გაზეთი) არავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...საზოგადოებრივ-უფლებრივ მოვალეობით. ბრალდებული და დამცველი ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს—ჭეშმარიტების გამორკვევას. ეხლა, ორი დღის შემდეგ, დადგა ყველაზე უფრო ძნელი მომენტი, როდესაც დამცველთა მონაწილეობა განსაკუთრებით აუცილებელია. ამიტომ დამცველთა წასვლა დაუშვებელია.

კრილენკოს უპასუხებს ტაგერი, რომელიც აცხადებს, რომ იგი ეთანხმება კრილენკოს საკითხს დაცვის მიზნისა და რომლის შესახებ თავმჯდომარის მიერ დღევანდელ სხდომაზე გამოთქმული საყვედური დამცველთა, ვიწრო აზროვნებისა და იურიდიულ განუვითარებლობისათვის მაჩვენებელია იმისა, რომ დამცველები არავითარ ავტორიტეტით და სამართლის ნდობით არ სარგებლობენ. ასეთ პირობებში შემდეგი მონაწილეობა სავსებით მოკლებულია მიზანს.

გენდელმანი უერთდება დამცველთა განცხადებას და მოითხოვს მის დაკმაყოფილებას. ვინაიდან დაცვის საქმე უხერხულ მდგომარეობაშია ჩაყენებული.

კრილენკო განმეორებით სრულიად უარყოფს გენდელმანის და ტაგერის მოსაზრებებს. ის აღნიშნავს, რომ დამცველთათვის ნდობის გამოცხადების საკითხი არ დასმულა. თუ ტრიბუნალის წინასწარმა სხდომამ გადასწყვიტა დაუშვა დამცველები, ამით მან გამოუცხადა მათ ნდობა. ნდობის საკითხი ხელმეორედ არ გადასინჯულა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბრალდებულებს ბრალი ედებათ დანაშაულში, რომლისთვისაც მათ მოელის მკაცრი სასჯელი, დამცველებმა უნდა ითამაშონ დიდი როლი და უნდა დაეხმარონ სამართლის ყველა დეტალების და ფაქტების გამორკვევაში. მაშასადამე დამცველთა დაცვაში მონაწილეობის მიღება არა თუ მიზანს მიხწეულია, არამედ აქვს დიდი მნიშვნელობა. კრილენკო მოითხოვს შუამდგომლობის უარყოფას.

თათბირის შემდეგ ტრიბუნალმა გადასწყვიტა ვინაიდან, არ არის შუამდგომლობა დამცველთა მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ მათი უკმაყოფილების გამო, და რომ ტრიბუნალის განმარტებას, რომელმაც გამოიწვია დამცველთა რეაქცია არ დაუყენებია ტრიბუნალის მხრივ ნდობის გამოცხადების საკითხი და რომ საკითხი ნდობის შესახებ არ ყოფილა გადასინჯული არც დასაწყისში და არც პროცესის მსვლელობის დროს და რომ დამცველთა ფუნქციები არის საზოგადოებრივი და უფლებრივი ფუნქციები, რევტრიბუნალმა გადასწყვიტა დამცველთა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი სთქვას.

24 ივნისის დილის სხდომაზე ტრიბუნალი გადადის საკითხების შემდეგი ჯგუფის განხილვაზე, რომლის გამოსავალ წერტილად მიჩნეულია ესერების პარტიის 18 ყრილობა, რომელიც მოხდა 1918 წლ. მაისში. გამოქვეყნდა დოკუმენტების მთელი რიგი, რომელიც ეხება მე-8 ყრილობას და რომელიც ამტკიცებს, რომ ესერები აწარმოებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას და შეუთანხმდენ მოკავშირეთ იმპერიალისტური ომის გასაგრძელებლად. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლის საშუალებით ისინი შეეცადნენ ჩაეშალათ ბრესტის ხელშეკრულება და რუსეთისათვის მოეხვიათ თავზე ომის გაგრძელება.

გამოქვეყნებულ დოკუმენტების განმარტებისათვის სიტყვას იღებს ტიმოფეევი. ტიმოფეევის სიტყვით, ესერების პარტიის მე-8 ყრილობის მომზადებისათვის ესერებმა აშკარად წამოაყენეს ორი ლოზუნგი: აღმოსავლეთის ფრონტის აღდგენა და საბჭოთა ხელისუფლების იარაღით ჩამოგდება. ამ აზრით ესერების პარტიის მიერ გამოშვებული იყო მოწოდება, რომელიც ტიმოფეევმა გადასცა საფრანგეთის სოციალისტებს საფრანგეთის პრესაში გამოსაქვეყნებლად.

ბრალმდებელის შეკითხვიდან სჩანს, რომ ესერების პარტიის ცეკამ დაადგინა წინადადება მისცეს დამფუძნებელ კრების ფრაქციას გამოუშვას უკანასკნელის სახელით მოწოდება, რომელშიდაც უნდა ყოფილიყო განცხადებული, რომ „უჩრედილკა" არ სცნობს ბრესტის ზავს და რომ რუსეთი განაგრძობს ომიანობის მდგომარეობაში ყოფნას. ეს უნდა ეცნობებინათ მოკავშირეებისათვის. კრილენკოს შეკითხვაზე ტიმოფეევი უპასუხებს: „ჩვენ ვფიქრობდით, რომ „უჩრედილკამ" უნდა მიმართოს მოკავშირე მთავრობებს, როგორც ხელის უფლების წარმომადგენელმა მეორე ხელის უფლებას".

პარტიის მერვე ყრილობის შემდეგ ესერების სამხედრო მუშაობის შესახებ ლაპარაკობს ბრალდებული დაშევსკი: „მომავალი ძირითადი ამოცანა იყო აღმოსავლეთის ფრონტის შექმნა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ყველა ზომები იყო მიმართული ვოლგის მხრის ძალების ორგანიზაციისა და გამაგრებისაკენ. პრაქტიკულად საქმე თავდებოდა უბრალო ოფიცრობის მცირე ჯგუფიდან ვოლგის მხრის უფრო კვალიფიციურ სამხედრო ჯგუფში გადაგზავნით. დაშევსკიმ სამი თვის განმავლობაში მოახერხა 50 ოფიცრების და 5 გენერალურ შტაბის პოლკოვნიკების გადაგზავნა. სამხედრო მუშაობის შესახებ ლაპარაკის დროს დაშევსკი გზა და გზა ეხება რკინის გზის ლიანდაგის აფეთქების მოწყობას და გარკვევით ამბობს რკინის გზის აფეთქების ცდაზე (დამახინჯებულია)... სამხედრო მუშაობისათვის საშუალებები მოდიოდა ცენტრალურ კომიტეტისაგან, შემდეგ ფული გაიღო საფრანგეთის მისიის ერთმა წევრმა. დაშევსკის ამის შესახებ ქონდა ლაპარაკი ტიმოფეევთან, რომელმაც უთხრა მას, რომ პარტიულ მუშაობისათვის ის ამ ფულებს ცენტრალურ კომიტეტისაგან არ წაიღებდა, მაგრამ რამდენად საქმე შეეხება არმიის აღდგენას, აღმოჩნდა, რომ შეიძლება. ის მზად არის თავისივე ხელი მოაწეროს ფულის მიღებაზე.

ბრალდებული ტიმოფეევი კატეგორიულად უარყოფს ფაქტს ფრანგებიდან ფულის მიღების შესახებ.

ტიმოფეევის შემდეგ ჩვენებას იძლევა პირველი ჯგუფის ბრალდებული ალაპოვი, რომელიც განაგებდა სამხედრო კომისიას დაშევსკის მოსკოვიდან გამგზავრების შემდეგ. ის ამბობს, რომ ვოლგის ყველა გზებზე და მიმართულებებზე მოიპოვებოდნენ ურიცხვი სადაზვერვო ინსტრუქტორები, რომლებსაც მნიშვნელოვან პუნქტებში უნდა მოეწყოთ პარტიული იაჩეიკები სახალხო არმიისადმი დახმარების მიზნით, როცა ისინი დაიძვრებოდნენ ვოლგის მხრიდან მოსკოვისაკენ ამ იაჩეიკებს ხელი უნდა შეეწყო თითოეული არმიისათვის მათ მოქმედებში და დაჭერილ ადგილებში ხელის უფლების ორგანიზაციაში.

ალაპოვის ჩვენების შემდეგ, კრილენკოს შუამდგომლობით ტრიბუნალი აშკარავებს მთელ რიგ დოკუმენტებს, რომელიც აღმოჩენილ იქნა წითელი ჯვრის დანიის მისიის გაჩხრეკის დროს, საიდაც ის ჩაბარებულ იქნა საფრანგეთის მისიის მიერ რუსეთიდან მისი გასვლის წინ. ეს საბუთები წარმოადგენენ შარლ დიუმას საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრ პიშონთან მიწერ მოწერას. ეს საბუთები ნათლად მოწმობენ ესერების პარტიის საფრანგეთის მისიასთან ურთიერთობას.

ბრალდებული ტიმოფეევი მოითხოვს გამოიწვიოს მოწმეების სახით რამდენიმე ჩეხელი, რომელნიც ეხლა იმყოფებიან პრაღაში და იყვნენ 1918 წელს ჩეხო-სლოვაკის ნაციონალურ საბჭოს წევრები. ტრიბუნალი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. გელდმანი აკეთებს ახალ განცხადებას, რომელშიაც აღნიშნავს, რომ პირველი ჯგუფის ბრალდებულები უარს ამბობენ პროცესში დაცვის მონაწილეობაზე და რომელიმე ახალი დამცველების დანიშვნაზე, ვინაიდან დამცველები სახელგატეხილია და მათი მუშაობითი სარგებლობა დაუშვებელია. ბრალდებულები არ ხედავენ დამცველების წასვლაში არავითარ დაბრკოლებას პროცესის გაგრძელებისათვის.

კრილენკო თავის სიტყვით აშკარავებს ახალი პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათს და აღნიშნავს, რომ დაცვის უქონლობას ნამდვილად არ უშლის ხელს პროცესის გაგრძელებას, მაგრამ აღიარებს, რომ დაცვის წასვლას არ აქვს არავითარი კანონიერი საფუძველი. მხარეებმა უკვე იცვნეს, განაგრძობს კრილენკო, ამ პროცესის განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა. ჩვენ ყველამ ვიცით მშრომელთა საერთო წრეებში შექმნილი სულიერი განწყობილება ამ პროცესთან დაკავშირებით.

---

...ბოლშევიკური პარტია და კერძოდ სტალინი ფედერალიზმის ცრომის ქვეშ დგას. მაშასადამე მარქსისტული ცენტრალიზმი „არქივს ჩაბარდა".

მარქსიზმი კაპიტალის კონცენტრაციის გზით მიდიოდა სოციალიზმისაკენ, ბოლშევიკები სოციალიზაციის პრინციპს ატარებენ სოფლად და ქალაქად, რაც ანტიპოდია კაპიტალის სტიქიური კონცენტრაციის. მაშასადამე კაპიტალის კონცენტრაციის პრინციპი „არქივს ჩაბარდა".

„მარქსიზმი გლეხობას სახავდა რეაქციონურ კლასად—ბოლშევიზმა მჭიდრო კავშირი გააბა გლეხობასა და პროლეტარიატს შორის და რევოლიუციის ცეცხლში ქვეშ დააყენა იგი. მაშასადამე გლეხობის შესახებ ორტოდოქსალი მარქსიზმის თვალსაზრისიც „არქივს ჩაბარდა".

„ეხლა ვიკითხოთ როგორი იყო ჩვენი „არქივი". ჩვენს „არქივში" მაშინაც იყო და ეხლაც არის ფედერალიზმისა და სოციალიზაციის პროგრამა, როდესაც ბოლშევიზმი არც კი არსებობდა ქვეყნად. ჩვენ მაშინ გავიძახოდით გლეხობისა და პროლეტარის ინტერესთა სოლიდარობაზე, როდესაც ბოლშევიკური მოძრაობის დაწყებამდე მეოთხედი საუკუნე გახლდათ. ყოველივე ამის შემდეგ თუ „არქივზე" ვილაპარაკებთ, ამხ. კომუნაძეს თავის „არქივში" ვერაფერი აღმოაჩნდება".

ამას ვწერდით ჩვენ და პასუხად ამხ. კომუნაძისაგან მივიღეთ შემდეგი „რაც შეეხება მის მტკიცებას, (ე. ი. ჩვენ მტკიცებას. ს.—ელი) რომ ბოლშევიზმა მიიღო ფედერალიზმი და სოციალიზაცია, ვიტყვით მხოლოდ ერთს. პირველის შესახებ: თუ მას (ჩვენზედ არის ლაპარაკი. ს.—ელი) წაუკითხავს მარქსის „პარიზის კომუნა", მაშინ ეს არ უნდა ეთქვა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის განზრახ ჩადენილი სიყალბე. მეორეს შესახებ: სოციალიზაცია სოფლად, დათმობა იყო გლეხობისათვის, როგორც მოკავშირისათვის და მეტი არაფერი, ხოლო ქალაქში კი ესერულ სოციალიზაციის ხსენებაც არ ყოფილა.

რაც შეეხება პირველს, რომ მარქსის „პარიზის კომუნა" წამიკითხავს თუ არა, უნდა მოვახსენო ამხ. კ. კომუნაძეს, რომ არ შემეძლო წამეკითხა, რადგან მარქსს ასეთი წიგნი, „პარიზის კომუნა" არასოდეს არ დაუწერია. ჩვენ უცნაურად ის გვეჩვენება მხოლოდ, რომ ამხ. კ. კომუნაძემ მარქსს დააწერია „პარიზის კომუნა" და ისიც ფედერალისტურად...

რაც შეეხება მეორეს, ჩვენ წინა წერილშიაც აღვნიშნეთ, რომ ამხ. კ. კომუნაძის მორცხვი განცხადება, რომ „სოციალიზაცია სოფლად ეს დათმობა იყო გლეხობისათვისო" იგივეა, რასაც ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ეს მართლაც დიდი დათმობა გახლდათ.

დიახ, თქვენ დაუთმეთ გლეხობას სოციალიზაცია, ერებს კი ფედერალიზმის პრინციპი და სოციალურ ცხოვრების განვითარების მარქსისტული ისტორიოსოფია. ჩვენც ამას ვამბობთ, რომ თქვენ დათმეთ. სრულიადაც არ გისაყვედურებთ, რომ დათმეთ. პირიქით თქვენი გამარჯვების გარანტია სწორედ ეს დათმობაა. გვწამს, რომ რამდენადაც მეტს დათმობთ თეორეტიულ დოგმებს და რეალ ფაქტთა წყობაზე ააგებთ პოლიტიკას, (რის შესახებ ლენინის აზრი წაუმძღვარე ეპიგრაფად ჩემს წერილებს) იმდენად თქვენ გაიმარჯვებთ, იმდენად თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია. მაგრამ ყოველივეს თავის საზღვარი აქვს და ისე ნუ გაკადნიერდებით, რომ თქვენი ბამბა ჩვენს ოქროზედ მეტად გაიხრიალოთ.

ჩვენ გვინდა ამხ. კ. კომუნაძის სიტყვებით დავასრულოთ ჩვენი წერილები „მართალია ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ცოტათი მაინც უნდა დაუფიქრდეთ რასაც ვამბობთ, თორემ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით".

ხ.—ელი.

...თვის სასარგებლო არ იქნება ისეთი „მოყვრობის" ჩადენა, რომელიც დღესავით ნათელია, სტალინი ებრძოდა ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის პრინციპს, რადგან მას ვერ წარმოედგინა „როგორ მოვექცეთ მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვებს, რომელნიც ლაპარაკობენ სხვა და სხვა ენაზედ და მათ აქვთ თავისი ლიტერატურა" (И, Сталин „Сборник статей." გვ. 60.),

# უცხოეთი

**რატენაუს მკვლელობა**

**ნაუენი.** 26 ივნისი. შაბათს დილით თავის ბინიდან გამოსვლის დროს გრიუნვალდში, ბერლინში გარეშე საქმეთა სამინისტროში გასამგზავრებლად, მოკლულ იქმნა რატენაუ. ბინიდან გამოსვლის დროს რატენაუს მატორი შეხვდა მეორე მატორს, რომელშიაც შოფერის გარდა იყო ორი მგზავრი, რომელნიც ჩაცმულნი იყვნენ, როგორც ავტომობილის სპორტსმენები. ერთმა მგზავრთაგანმა მოტორთან შეხვედრის დროს გადააგდო რატენაუს ავტომობილში ბომბა ხოლო მეორემ აუტეხა რატენაუს რევოლვერიდან სროლა. რატენაუ იმ წამსვე გარდაიცვალა ტყვიის პირში მოხვედრით. ხოლო მისი მდივანი დაიჭრა. მკვლელები მიიმალნენ და ვერც გაიგეს ვინ იყვნენ. რატენაუს გვამი გადაიტანეს უკანვე მის ბინაზე, საიდანაც ის 15 წუთის წინად გამოვიდა. კალატოზი—მუშები, რომელნიც რატენაუს სახლის გვერდით მუშაობდნენ და ორი ქალი, რომელნიც მახლობლად იმყოფებოდენ არიან როგორც ამ მკვლელობის ერთად ერთი მოწმეები. ერთი მათგანი დაჭრილია.

**რატენაუს მკვლელობის გამო.**

**ნაუენი.** ივნისის 25. რატენაუს მკვლელობის გამო ბერლინში დიდი მღელვარებაა, განსაკუთრებით რეიხსტაგის და მთავრობის წრეებში. კაბინეტი შეიკრიბა სასწრაფო სხდომაზე, რომელზედაც მოწვეულ იქნა რეიხსტაგის თავმჯდომარე და პრუსიის პრემიერი. კაბინეტის მიერ გამოშვებულია მოწოდება, სადაც ნათქვამია, რომ მიღებულია სასტიკი ზომები რესპუბლიკის და მის დაწესებულებათა დასაცავად, რომლის დამხობასაც ცდილობენ დარაზმული შეთქმულები. რეიხსტაგში პოლიტიკურ პარტიათა შორის პანიკა მეფობდა, სანამ არ მოვიდა კანცლერი ვირტი და არ გახსნა შეერთებული სხდომა და აღადგინა წესრიგი. შემდეგ მკვლელობის ცხოველ შთაბეჭდილებით ვირტმა მიმართა რეიხსტაგს და მ[illegible] სიტყვებით უკუაგდო მემარჯვენე პარტიების პოლიტიკა, რასაც მოჰყვა მემარცხენე და ცენტრის ტაშის ცემა. ვირტი მოუწოდებდა რესპუბლიკის დაცვისაკენ. რეიხსტაგის თავმჯდომარემ ლებემ კოალიციასთან სრული შეთანხმებით განაცხადა, რომ რათაც არ უნდა დაუჯდეთ უნდა დაიცვან ახალი გერმანიის სხვა წინამძღოლნი.

**ტრაური.**

**ნაუენი** ივნისის 26 (რადიო) ყველა ოფიციალურ შენობებზე ჩამოშვებულია დროშები. კვირას დილით რეიხსტაგი შეიკრიბება რატენაუს ხსოვნის პატივსაცემად.

**წმინდა მამის თანაგრძნობა.**

**ნაუენი.** ივნისის 26 (რადიო) ნუნციოს პაჩელიმ გამოსთქვა თანაგრძნობა რატენაუს მოკვლის შესახებ წმ. მამის სახელით.

**ვისი მუშაობაა.**

**ბორდო** ივნისის 26 (რადიო) გერმანიის გაზეთები ამბობენ, რომ ერცბერგერის მოკვლის შემდეგ, პანგერმანისტები აშკარად აცხადებდენ, რომ ეხლა დადგა რატენაუს რიგი.

**კონტრ-რევოლიუციის შეტევა.**

**ბორდო.** ივნისის 26. გერმანიის გაზეთები ამბობენ, რომ გერმანიის სახელმწიფოებრივ ხალხზე, ხალხის წინააღმდეგ შეთქმულობა სწარმოებს სისტემატიურად. აუცილებელია კაბინეტის მთელი ენერგის მოხმარება, რათა დაძლეულ იქნეს კონტრრევოლიუციის და რეაქციის შემოტევა.

**რატენაუს წინაგრძნობა**

**ბორდო.** ივნისის 26. გერმანიის პრესა ჰყვება პანგერმანისტების პოლიტიკას გაზ. იუწყებიან, რომ ლაუშერს აგონდება რომ ჯერ კიდევ ვისბადენის მოლაპარაკების დროს, როდესაც გაიგეს ერცბერგერის მოკვლა, რატენაუმ უთხრა ლაუშერს, ეხლა მაშასადამე შემდეგი რიგი ჩემია".

**რაპალოს ხელშეკრულების შედეგები.**

**ნაუენი.** 24 ივნისი. გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი არმისი ჩამოვიდა ჩიტაში, სადაც მან განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა ადგილობრივ ეკონომიურ პირობების შესასწავლად რუსეთსა და გერმანიის შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის გამო, რომელთათვისაც რაპალოს ხელშეკრულება ქმნის საერთო გზებს.

**მიაღწიეს შეთანხმებას.**

**ნაუენი.** 24 ივნისი. ბულგარეთის ფინანსთა მინისტრის მოლაპარაკება ბულგარეთში მყოფ მოკავშირეთა კომისიასთან კონტრიბუციის ახალ გადასახადების შესახებ დამთავრდა, ორივე მხარემ მიაღწია შეთანხმებას.

**ჩიჩერინის განცხადება.**

**ნაუენი.** 24 ივნისი. ჩიჩერინი შეუდგა რუსეთის საელჩოს მოწყობას და განაცხადა, რომ დარჩება ბერლინში კიდევ ცოტა ხნით.

**მეზღვაურთა აჯანყება.**

**ბორდო** 24 ივნისი რადიკსში ნერევიანის გემის კარპიჯის მეზღვაურნი აჯანყდნენ და ცეცხლი გაუჩინეს ხომალდს. საბაჟოს აგენტებმა მოახერხეს ცეცხლის ჩაქრობა. პორტში იგზავნება ჯარები.

**ბრანტინგის განცხადება**

**ნაუენი** 21 ივლისი (რადიო) ხრისტიანიის უნივერსიტეტში ლექციის კითხვის დროს შვეციის პრემიერმა ბრანტინგმა განაცხადა, რომ შვეცია წინააღმდეგია რომელიმე სახელმწიფოს ნაციათა ლიგისთვის დაქვემდებარებისა.

**მოითხოვენ დამოუკიდებლობას**

**ნაუენი** 23 ივლისი, პრეზიდენტმა გარდინგმა მიიღო კალიპინერის დელეგაცია, რომელმაც წარუდგინა მას მოთხოვნილება არქიპელაგის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. პრეზიდენტმა გარდინგმა განაცხადა, რომ ის ამაზე არ არის თანახმა. დამოუკიდებლობა შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ.,. (გამოტოვებულია)

# რუსეთი

**გერმანელი ფროფესორი რუსეთის შესახებ.**

**მოსკოვი.** 26 ივნისი. ...ნერ ტაგებლატი" ... კლემპერერის შთაბეჭდილებას, მისი რუსეთში მოგზაურობის შესახებ. კლემპერერი სწერს, რომ ქონდა შემთხვევა შეხვედროდა რუსეთის გლეხებს. რომელნიც სავსებით კმაყოფილნი არიან დღევანდელი ცხოვრების პირობებით და ბედნიერად მუშაობენ, დარწმუნებულნი იმაში, რომ მოსავალი მოხმარდება ისევ მშრომელებს. გლეხებს ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რომ ისინი საბჭოთა ხელისუფლების დროს სარგებლობენ დიდი უფლებებით და გავლენით. კლემპერერი გაოცებულია წითელ-არმიელების დისციპლინით და წეს-რიგით.

**მართალია.**

**მოსკოვი,** 25 ივნისი. გერმანიის სასამართლოს უარი ბერლინში მყოფ რუსეთის საელჩოს შენობის რომანოვების საკუთრებად აღიარების შესახებ, განიხილება როგორც ნაყოფი ხელა რაპალოს ხელშეკრულებით. სასამართლომ ეს უარი დაასაბუთა იმით, რომ მემკვიდრეობის უფლება საბჭოთა რუსეთის მიერ გაუქმებულია. ამიტომ შენობა ითვლება თვით რუსეთის საკუთრებად.

**შეიარაღებული ძალების შემცირების გამო.**

**მოსკოვი,** 25 ივნისი. შვეციის გაზ. „სვენსკა დრისერი" ეხება რა საბჭოთა მთავრობის ნოტას შეიარაღებულ ძალების შემცირების შესახებ, სწერს: საბჭოთა რუსეთის წინადადების უარყოფამ გააძლიერა მხოლოდ რუსეთის ოპოზიცია. გაზ. გამოთქვამს ეჭვს იმის შესახებ, რომ კონფერენციას დადებითი შედეგები მოჰყვება განიარაღების საკითხში, ფიქრობს, რომ ფინეთის უარის თქმა კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე იქნებოდა უადგილო.

# ახალი ამბები

— **ტფილისის ელექტროფიკაცია.** ტფილისის აღმასკომთან დაარსდა კომისია ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოსაწყობად. გეგმა სადგურისა უკვე განხილულია კომისიის მიერ. ხელმძღვანელ ინჟენრად დანიშნულია ინჟ. ფირალოვი, ხოლო კომისიის პასუხისმგებელ მდივნად ამხ. თ. ღლონტი.

— **საქონლის ჭირი.** 15—22 ივნისამდე ახალციხის მაზრაში ადგილი ქონდა საქონლის ჭირს. ჭირი მრავალ სოფლებს ედება.

— **საბჭოთა აღმშენებლობა რაჭაში.** ადგილობრივი აღმასკომი დიდი ენერგიით მუშაობს გზების შეკეთება-გაყვანისათვის. დაიწყეს ოსეთის გზის შეკეთება 85 ვერსის მანძილზე, მამისონის უღელტეხილამდე. განზრახულია შარა გზის გაყვანა ტყიბულიდან ნაქერალის უღელტეხილამდე და ნიკორწმინდიდან ხიდისკარამდე.

აშენებულია ხის ახალი ხიდები მდ. რიონზე. 2 ხის ხიდი მდ. კრიხულაზე, თითოეული 20 საჟენი სიგრძის. აღმასკომი შეუდგა სახერხი ქარხნის დაარსებას ნიკორწმინდის ტყის აგარაკზე.

სამწუხაროდ რაჭის მაზრა ერთი უღარიბესი მაზრაა მთელ რესპუბლიკაში, რის გამო მისი დასაყრდენი არის მხოლოდ ცენტრის დახმარება. თვიურად აუცილებელ საჭირო მასალებისათვის საანგარიშევია მილიარდები მაშინ, როდესაც ცენტრისაგან მხოლოდ თვიურად 20,000.000 მანეთს არ აღემატება დახმარება.

— **სანიტარული აგენტები.** ხოლერის შესაძლებლობასთან დაკავშირებით და ქალაქის უსუფთაობის გამო, ქალაქის აღმასკომის მიერ 1 ივნისიდან შექმნილი იქნა შტატი 24 სანიტარული აგენტისა, რომელთაც ევალებათ სისუფთავისათვის კონტროლის გაწევა.

— **ქალაქის მიწების მორწყვა.** ქალაქის აღმასკომში მუშავდება საკითხი ტფილისის მიწების მორწყვის შესახებ. განზრახულია მორწყვა კუკიის, ჩუღურეთის და ავლაბრის აგარაკების, საერთო 300 დესიატინის. მორწყულ მიწების გამოყენება განზრახულია ბოსტნებისათვის.

# ბავშთა თავშესაფარი

კულტურულ ქვეყნებში ბავშთა დაცვის საქმეს ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული. ბავშთა თავშესაფარი ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომლისათვის საჭიროა მთელი საზოგადოების მზრუნველობა და სახელმწიფოს მიერ სათანადო დახმარება.

რამდენადაც ვიცით ჩვენ დედაქალაქში არსებობს ბავშთა ბაღები და თავშესაფარნი, რომელსაც დიდი ყურადღება არ ექცევა, თუ მხედველობაში მივიღებთ სნეულ ბავშვთა მდგომარეობას, რომელსაც ასურათებს ქალაქის ქუჩები.

ვისაც გაუვლია ტფილისის ქუჩებში, იმისთვის ცნობილი იქნება პატარა ბავშვთა ფერმკრთალი სახე, რომელნიც გამვლელთ მოწყალებისათვის დაედევნებიან ხოლმე. ასეთი შემთხვევანი არ შეადგენს იშვიათ რასმეს, არამედ მეტად ფართოდ არის გავრცელებული. ღამით ბაღის ნაპირებზედ, ქვაფენილების კუთხეებში თქვენ ნახავთ მძინარე ბავშვებს, რომელნიც მთელი დღის მათხოვრობის შემდეგ, ისევ მშიერნი ატარებენ მთელს ღამეებს ქუჩებში.

ასეთი მდგომარეობა ქალაქისათვის ყოვლად დამამცირებელია, სხვა რომ არა იყოს რა, მაშინ, როდესაც ათასგვარ საჭირო და არა საჭირო შტატებს ვქმნით და ვარჩენთ, როდესაც ასეა თუ ისე ერთგვარი გაუმჯობესება ეტყობა ქალაქის ცხოვრებას, რამდენიმე ასიოდე ბავშვისათვის ლუკმა პური ვერ გვიშოვია და გამვლელთა ანაბარად დაგვიტოვებია ქუჩებში.

ვფიქრობთ, რომ ქალაქმა და მთელმა საზოგადოებამაც ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები ბავშვთა თავშესაფარის გაფართოვებისათვის.

გულშემატკივარი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება ესე დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის ივნისის 16 ს.

## დადგენილება.

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა საბინაო ქირის ტარიფიკაციის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა 1922 წ. ივნისის 16 თარიღითა და მე № 6-ით გამოცემული დეკრეტების მე 6 მუხლის შესასრულებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა ქალაქები და დასახელებული პუნქტები ბინის ქირის მხრივ განიყოფება, —მათი ტერიტორიისა, მცხოვრებთა რაოდენობის და წესიერი მოწყობილობის მიხედვით, სამ კლასად:

2. 1-ლ კლასს ეკუთვნის ქალაქები: თფილისი, ბათომი, ქუთაისი და ფოთი.

3. მე 2ე კლასს ეკუთვნის ქალაქები: სიღნაღი, თელავი, დუშეთი, ხაშური, სურამი, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ზესტაფონი, ჭიათურა, სამტრედია, ონი, ხონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, სენაკი და ზუგდიდი.

4. მე-3ე კლასს ეკუთვნის საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დანარჩენი დასახელებული ადგილები.

შენიშვნა: საკურორტო ქალაქებისა და დასახელებული ადგილებისათვის, აგრეთვე კლიმატიური სადგურებისათვის ამ დადგენილებაში ნაჩვენები ქირის ნორმები ვრცელდება მხოლოდ ადგილობრივ მოქალაქეებზე, რომელნიც აქ მუდმივად ცხოვრობენ. სამკურნალოდ ან დასასვენებლად ჩამოსულ მოქალაქეებისათვის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ სეზონში, საბინაო ქირის ტარიფი ცალკე იქნება დადგენილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილების მიერ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად.

5. საბინაო ქირას აწესებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილება, — საცხოვრებელი შენობების მოწყობილობისა და მდებარეობის რაიონის ღირსების მიხედვით, — გამოსაყენებელი სივრცის თვითეულ კვდ. არშინზე, რომელიც უჭირავთ პირველი კატეგორიის პირთ და მათი სარჩენი ოჯახის წევრთ, — თითო სულზე 25 კვ. არშინის ნორმის ფარგლებში.

1-ლი კატეგორიის პირთათვის თვიურად 1 კვადრატ. არშინზე:

ა) 1-ლ კლასის ქალაქებში არა უმეტეს 1.500 მანეთისა.

ბ) მე 2 კლასის ქალაქებში არა უმეტეს 1.000 მანეთისა.

გ) მე-3 კლასის ადგილებში არა უმეტეს 750 მანეთისა.

**შენიშვნა:** ამა დადგენილების მე-5ე მუხლში დაწესებული ქირის ტარიფიკაციის ნორმების გადიდება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალური განყოფილების მიერ მათი გადასინჯვის გზით და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით.

B საბჭოთა დაწესებულებებისა და წარმოებების კანცელარიისთვის დაქირავებულ საცხოვრებელ შენობებში სახლის პატრონთან ან სახლის გამგესთან შეთანხმებით თვეში თითოეულ კვად. არშინზე:

ა) 1-ლი კლასის ქალაქებში არა უმეტეს 3.500 მან.

ბ) მე-2-ე კლასის ქალაქებში არა უმეტეს 3.000 მან.

გ) მე-3-ე კლასის ადგილებში არა უმეტეს 2.500 მან.

6. ძირითად საბინაო ქირას მიემატება:

ა) საბანებლ ოთახზე 3 პროც.;

ბ) სადარბაზო შესასვლელზე 3 პროც.; c) შუშაბანდზე 3 პროც.; d) სამზარეულოზე 3 პროც., თუ ბინას აქვს ამგვარი რამ.

**შენიშვნა** სავლელი ოთახი, რომელიც მხოლოდ აერთებს ბინის ერთ ნაწილს მეორესთან, შეფასდება როგორც შუშაბანდი, ხოლო თუ შეიძლება იგი საცხოვრებლად იქნეს გამოყენებული, ან სასადილოდ, ან ავეჯეულობის დასაწყობად და სხვ. ამისთ. შეფასდება როგორც საცხოვრებელი სადგომი.

**შენიშვნა 2:** სარდაფის ან ნახევრად სარდაფის სართულებში საბინაო ქირა 50 პროცენტით შემცირდება.

7. ზედმეტი სივრცე, რომელიც მუშა-მოსამსახურეს ნორმის გარეშე 25 კვ. არშ. უჭირავს, — შეფასდება ერთი ორად.

8 ის პირნი, წარმოებანი და დაწესებულებანი, რომელნიც მე-5 მუხლში ნაჩვენებ კატეგორიებს არ ეკუთვნიან, გადაიხდიან დაჭერილი სადგომების ქირას თავისუფალი შეთანხმებით სახლის პატრონთან.

9. თბილისში 1 კატეგორიის მდგმურეობა (მუხ. 5—B), აგრეთვე საბჭოთა წარმოებებმა და დაწესებულებებმა (მუხ. 5—B) ბინის ქირა უნდა გადაუხადონ სახლის პატრონს 1922 წ. აპრილის 1 დან; მე 2 კატეგორ. მდგმურებმა კი (მუხ. 8) 1921 წ. ნოემბ. 1 დან; მე-2 კატეგორიის მდგმურები 1922 წლის აპრილის 1 დან ქირას გადაიხდიან თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის 50 № ის ბრძანებაში აღნიშნული განაკვეთის თანახმად; ხოლო აპრილის 1-დან სახლის პატრონთან შეთანხმებით.

10 ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ძალა ეკარგება ყველა ამ საგანზე გამოცემულ დადგენილებას.

შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარი ა. **გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

კომუნალური განყოფილების გამგე: **სიდამონიშვილი.**

# საქართველოს ერის დაუძინებელი მტერი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი

ვიდრე პავლეს ბიოგრაფიის ანუსხვას შევუდგებოდეთ, მანამ გვინდა, რომ ამ გარუსებულ მოღალატის ვინაობის ცნობებიც მკითხველს გავაცნოთ. პავლე დიმიტრის ძის პაპა იყო ოტია ციციშვილი. ოტია იყო ვახტანგ მეფის თანამედროვე და ეს ოტია ციციშვილი ვახტანგ მეფეს, როგორც რჩეული თავადის შვილი, რუსეთში გადაჰყვა 1723 წ.

მის მერე ოტია საქართველოში აღარ დაბრუნდა, იქ დარჩა თავის ცოლით და რუსების სამსახურში შევიდა სხვა გადასახლებულ ქართველებთან ერთად. ამ ოტიას რუსეთში დაებადა ერთი შვილი დიმიტრი, რომლის შთამომავალიც გახლავთ ეს პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი.

პავლე ციციშვილი დაიბადა 1754 წ. მოსკოვს. სწავლობდა რუსულის სამხედრო სკოლებში. სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი შესულ იქნა სამხედრო სამსახურში, წინეთ მსახურობდა პრეობრაჟენსკის პოლკში, მის მერე იგი გადავიდა პეტერბურგის გრენადერის პოლკში.

მონაწილეობა მიიღო რუსთა და ოსმალთა ომში, რომელიც მოხდა 1786 წ. ხოტინთან, ამ ბრძოლაში იგი დიდის გმირობით აღმოჩნდა და მიტომ მისი სახელიც გავარდა დიდათ მთელს რუსეთში, ამის შემდეგ პავლემ მიიღო მონაწილეობა პოლონელების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელ ბრძოლასაც ეწოდება „ვარშავის დილა" ამ ცხოველმა ჩააქრო თურმე პოლონელების ბრძოლა.

ამ ბოროტების მოქმედებით ამ ცხოველმა ისეთი სახელი დაიმსახურა პავლე სვავის წინაშე, რომ პავლე სვავი ერთს თავის „ბრძანებაში" სწერდა ასე:— „იბრძოლეთ ისე როგორც იბრძვის კნიაზ ციციანოვიო" ეს ბრძანება მერე ასევე ამ სიტყვებით სუვოროვმაც გამოსცა და მიმართა მთელ თავის ჯარს.

პოლონელების დამარცხების გამო, პავლე ციციშვილს მისცეს ნიშანი ვლადიმერ 3 ხარისხისა, ყველაზედ საჭირებელი „გიორგის ძეწკვი" ოქროს შპაგი და 1,500 დესეტინა ადგილები. ამ ბედნიერების შემდეგ, პავლე ციციშვილი გრაფ ზუბოვთან რჩება სპარსეთისკენ და იბრძვის ბაქოში, აქ ეს თურმე ბაქოს ხანსაც დაუახლოვდა.

ამ გვარათ, პავლე ციციშვილმა განვლო რამდენიმე ომს და ბოლოს პავლე იმპერატორის დროს, სამხედრო სამსახურიდამ გასულ იქმნა შესაფერისან პენსიით. ამის შემდეგ განვლო დრო, პავლე სვავი გარდაიცვალა. მის მაგიერ გამეფდა მისი შვილი ალექსანდრე დესპოტი. ამ დროს, პავლე ციციშვილი საჭირო ხდება რუსეთის ტახტისთვის, ალექსანდრე პირველი იხმობს თვისკენ ციციშვილს.

11 სექტემბერს 1802 წ. ციციშვილს უცბათ აძლევენ გენერალ ლეიტენანტობას და მას ნიშნავენ საქართველოს პირველ მთავარ-მართებლად, მოკლე დროის შემდეგ ჩვენი მტერ მოყვარე გადაგვარებული ქართველი ჩამოშავდა საქართველოში, ამის შემდეგ ეს იმყოფებოდა საქართველოში და მოქმედებდა იმ გეგმით, რაც მას მიცემული ჰქონდა ალექსანდრე პირველ სვავისაგან.

1806 წ. 2 ივნის, ბაქოს აღების დროს, იგი მოკლულ იქმნა ბაქოში, სწერენ, რომ ციციშვილს თურმე ბაქოს ხანმა თავი მოსჭრა, მოჭრილი თავი სპარსეთში ყაინს გაუგზავნა, როგორც ისეთის ქართველის, რომელიც მოღალატე ყოფილა საქართველოსი და მასთან გარუსებულიც არისო. ციციშვილის ტანი კი დაასაფლავეს ბაქოს სომეხთა ეკლესიაში. ექვსი წლის შემდეგ, ანუ 1812 წ. საქართველოს მთავარ მართებელმა მარკიზ პაულიჩმა გვამი ციციშვილისა გადმოიტანა და დაასაფლავა სიონის ტაძარში მარჯვენა მხარეს.

ამის ქვემოთ აღვნუსხამთ ახლა პავლე ციციშვილის და მის იმ საქმეებს, თუ იგი როგორ მოქმედებდა საქართველოში. მის სამხარს საქმეებს ჩვენ არ შევეხებით და ეს არც ჩვენი საქმეა. ჩვენ გვაქვს მარტო სახეში მისი აღნუსხვა, თუ ეს მოსყიდული ცხოველი როგორი ერთგული იყო თავის ხელმწიფის და მისის ბრძანებით როგორი მტრობდა საქართველოს, ქართველ ერს და საქართველოს საქმეებს. ჩვენთვის მარტოდ ეს არის საჭირო და სხვა მის ავს, ანუ კარგს კაცობასთან საქმე არა გვაქვს.

საქართველოს პირველი რუსის გენერალ-გუბერნატორი, კნორინგი პავლე ციციშვილს თურმე კარგად იცნობდა იმ დროსაც, როცა პავლე იმპერატორიც იყო და ამ დროს პავლე ციციშვილიც გენერალ-მაიორის ჩინის გახლდათ. სამხედრო სამსახურშიც იმყოფებოდა.

ალბათ კნორინგმა იცოდა ისიც კარგათ, თუ პავლე ციციშვილი გადაგვარებული და ქართველების მოძულე ცხოველიც იყო, ამის ეჭვი და ფიქრი არ უნდა, ვინაიდან, პავლე იმპერატორის სიკვდილის შემდეგ, ალექსანდრე პირველს იმპერატორთან, კნორინგი მივიდა და კარგად გააცნო პავლე ციციშვილი და ისიც აუწყა მან თავის პროტექციისას, რომ მართალია პავლე ციციშვილი ქართველია, მაგრამ იგი დიდი ერთგული იყო თქვენის მამის პავლესიო.

ამიტომ იგი თქვენი ერთგულიც არის და მასთან ისიც ვიცი, რომ იგი ისეთი კაცია, რომ ჩვენს დავალებას ყველაფერს კარგად და ადვილად შეასრულებს, თქვენ ასეთ ერთგულს კაცს არამც თუ ქართველებში, არამედ რუსებშიაც ვერ იპოვნით ადვილათ. ამიტომ ეს გენერალი უნდა იქმნეს იქ გაგზავნილი, საქართველოს გამგეთ.

ციციშვილი იქ უნდა იქმნეს საქართველოს მთავარ მართებლად დადგენილი და არა გუბერნატორად, მთავარმართებლობის ხარისხით იქ იგი ყველაფერს საქმეებს გააკეთებს. მის დროს, მე იქ საჭირო ძლიერ ვიქნები და არც სხვა ვინმე ჩემ გვარი სამხედრო გუბერნატორები.

ასეთი დარიგება მისცა კნორინგმა ალექსანდრე იმპერატორს, ამიტომ ალექსანდრე კნორინგის დიდათ მადლიერიც გახდა, ვინაიდგან ციციშვილი თვალთ წინ დაუდგა ალექსანდრე სვავს ისეთ კაცათ, რომელიც ჩვენს სამსახურს მშვენივრად შეასრულებს და მე თუ შევიერთე საქართველო და ამით ქართველებს სამარე გავუთხარეო, ახლა ციციშვილი საქართველოს ამ სამარეში დამარხავს და მით მართლმადიდებელი საქართველო რუსეთი გახდება, ქართველებიც გარუსდებიანო. ასე ფიქრობდა ეს სვავი.

ალექსანდრე სვავმა ასეთი დასკვნა გამოიტანა კნორინგის პროტექციას და მიტომ იგი მის სიხარულში მოუყვანიაც მალე შეუდგა, მეორე დღესვე მოიძიებს გენერალი ციციშვილი და მას აუწყეს ცნობა, რომ ალექსანდრე იმპერატორი გიბარებთო. ციციშვილი ამ ცნობაზე სახტად დარჩა ხან რა ეშინოდა, ხან უხაროდა, არ იცოდა თუ საქმე რაში იყო, შეშინებული ციციშვილი დანიშნულ დღეს დიდის შიშით და ცახცახით წავიდა ალექსანდრე პირველ სვავთან.

ამ დღეს, ციციშვილი შემთხვევით გზაში შეხვდა გენერალ კნორინგს, ერთმანეთს სალამი მისცეს, მერე ციციშვილმა კნორინგს შესჩივლა ასე:

გენერალო, მე დღეს დიდს ხიფათში ვარ ჩავარდნილი, ჩვენმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამიბარა, არ ვიცი რისთვის, მივდივარ, მაგრამ ფეხები უკან მრჩება, შიშით გულიც მიცახცახებს, ვაი თუ პენსია უნდა მოამისპონ, გენერალო იქნება შენ დამეხმარო რამით, რომ მე უგზაოშეულო კაცი არ დავისაჯო.

კნორინგმა მოისმინა ციციშვილის გოდება და მის შემდეგ ციციშვილს უამბო ყოველივე სამზადისი საქმისა და ისიც აუწყა, რომ შენ არხეინად წადი იმპერატორთან და მეც მალე მოვალ იქაო.

ციციშვილი ამით სახტათ დარჩა და კნორინგს კინაღამ ფეხებზე აკოცა. ამის შემდეგ ესენი ერთმანეთს გამოეთხოვნენ, ციციშვილი გახარებული გაუდგა თავის გზას, ეს მალე მივიდა ალექსანდრეს სასახლეში და ნახვასაც მალე ეღირსა. კნორინგიც მალე მივიდა. ციციშვილი ამით აღფრთოვანდა.

მალე იმპერატორიც გამოვიდა მათთან, ციციშვილმა თავი დაუკრა, სალამი მისცა. ამის შემდეგ, ციციშვილს ალექსანდრე სვავი ასე მოექცა. ეს სახიჩქაროთ გამართა ციციშვილისაკენ, ხელი მისცა და თან ასეთი სიტყვა უთხრა:

კნიაზო, თქვენ ჩვენთვის საჭირო კაცი ბრძანდებით. აბა გენერალო, თქვენ უამბეთ ყოველივე კნიაზს, რომ შეიტყოს საქმე რაშიაც გახლავსთ. ყველაფერი გააცნონ კარგად.

ციციშვილი კნორინგმა მეორე ოთახში გაიყვანა და უამბო ყოველივე, რაც ციციშვილს ევალებოდა და რაც ციციშვილს უნდა აესრულებინა. ციციშვილი გახარებული დარჩა, კნორინგს ყველაფერი დავალების შესრულებაზე პირობა მისცა, დაჰპირდა, რომ ყველაფერს შევასრულებ დიდის სიხარულით და თავზითო.

ამის შემდეგ კნორინგმა ალექსანდრე სვავს აუწყა, რომ მე ყველაფერი გადავეცი კნიაზს და მან თანხმობა განაცხადა, ყველაფერს დიდის ერთგულებით შევასრულებო. კნორინგის და ალექსანდრეს დარდიც ეს იყო. ამათი ფიქრი მის გარეშემო ტრიალებდა, რომ ვაი თუ ციციშვილმა თანხმობა იკისროს და ჩვენი დავალება კი არ შეასრულოსო. საქმე და ამათი დარდი ამის გარეშემო ტრიალებდა.

ეს დარდი იმპერატორს და კნორინგს მალე გაუქარწყლა ციციშვილმა და მათ მისცა პირობა, რომ მე თქვენს დავალებას ისე შევასრულებ, რომ მას ჩემის მხრით გადავაჭარბებ კიდეცო. ამით გახარებული იქმნა კნორინგი, ვინაიდგან ამის მაგიერ კარგს საჩუქარს ელოდება ალექსანდრესაგან.

ალექსანდრე სვავიც ამით დამშვიდდა დიდათ და ახლა კი მას საქართველოს შენარჩუნების შიში აღარ ჰქონდა, საქართველო მათ ადვილათ შერჩებოდათ რომელთაც ამ შენარჩუნებისათვის კარგი მკურნალი ციციშვილიც იშოვნეს.

ამიტომაც პირველ დღესვე პავლე ციციშვილს ალექსანდრე სვავმა გენერალ-მაიორობა აღარ აკადრა და მას მიუბოძა გენერალ ლეიტენანტობა. ამ ბედნიერებამ რასაკვირველია ციციშვილიც დიდათ გაახარეს. ამ ცხოველის და საქართველოს ერის მტერს თავისი სამშობლო საქართველოს წყალობით ორი ბედნიერება ერთად ეწვია.

ქართველობის ხსენების წყალობით პირველათ იგი გახდა გენერალ ლეიტენანტი და მას მერე კიდევ საქართველოს მთავარ მართებელი, ერთი სიტყვით საქართველოს ხალხის მეფე, ასე გაბედნიერდა პავლე ციციშვილი მის გამო, რომ იგი ქართველი იყო და ვითომც მან ქართული ენაც იცოდა.

ის კი არა და მან არც ქართული ენა იცოდა, გადაგვარებული იყო სრულიად და რუსოფილობით ბევრს რუსებს აჭარბებდა, ამას გარდა იგი იყო დაუძინებელი მტერი თავის სამშობლო ქვეყნის და მის დასამცირებლად და ალექსანდრე სასიამოვნოთ ყოველ ნაირს ზომებს იხმარდა, რომ საქართველო გამქრალიყოს, ქართველი ერიც მოსპობილიყოს.

ასე და ამ გვარათ გაწყალდა პავლე ციციშვილის საქმე და იგი გაბედნიერებულ იქმნა ერთ დღეს ორი დიდებით უღირსი შვილი გაბედნიერდა საქართველოს წყალობით.

ციციშვილი გახდა გენერალ-ლეიტენანტი და მასთან საქართველოს მთავარ მართებელი, მეორე ალექსანდრე ან მეორე იმპერატორი რუსეთისა, რომელსაც უნდა ებრძოს საქართველო. რაკი ეს ბედნიერება ეწვია ციციშვილს, იგი მალე შეუდგა სამზადისს და სულ მოკლე დროში წარუდგა ალექსანდრე სვავს და შეატყობინა, რომ მე მზათ ვარ წასასვლელათო.

ალექსანდრე დესპოტმაც გასცა ბრძანება, რომ გენერალ ციციშვილს მიეცეს ყოველივე და იგი გასტუმრებულ იქნეს საქართველოშიო. ესეც მალე მოხდა, ციციშვილს გაუხსნეს ხაზინა, მისცეს ყოველივე და დიდის დიდებით მეფური სახით გამოისტუმრეს ეს საქართველოს დაუძინებელი მტერი საქართველოში.

ზ. ჭიჭინაძე.

(შემდეგი იქნება)

# წერილი რედაქციის მიმართ*)

ვინაიდან საზოგადოებაში ხმა დადის, თითქოს გალაკტიონ ტაბიძის საღამო (რომელიც იმართება დღეს საოპერო თეატრში) ეწყობა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მონაწილეობით, საბჭო იძულებულია განაცხადოს, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ამ საღამოსთან. საღამო იმართება კერძოდ გ. ტაბიძის ინიციატივით.

**სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.**

*) უადგილობის გამო ეს წერილი ვერ მოთავსდა კვირის ნომერში.

რედ.

**დაიკარგა** პარტიული ბილეთი № 330 მოცემული საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა საქართველ. პარტიის მთავარი კომიტეტის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლევ გრ. დადიანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი